| პროგრამის აღწერა და მიზანი | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.<br><br>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.<br><br>დღეის მდგომარეობით ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 17 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 618-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 225 აღმზრდელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:<br><br>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;<br><br>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;<br><br>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;<br><br>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;<br><br>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა;<br><br>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.<br><br>ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწასებულებების გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 618-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **04 02** | | **665,9** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოსყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება. 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია გელათის საბავშვო ბაღის მოწყობა და №2 საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია.<br><br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაღები | | |

| | |
|---|---|
| | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 03 | | 723,9 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოსყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით<br><br>სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით. საბოლოო ეტაპზე კი ითვალისწინებს ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას.<br><br>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა | | |
| მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირებული საჯარო სკოლები | | |

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2186,3 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| 05 00 | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **2,186.3** |
|---|---|---|
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 1,514.3 |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების  ხელშეწყობა | 1,514.3 |
| 05 01 01 01 | სპორტული ცენტრის ხელშეწყობა | 442.0 |
| 05 01 01 02 | სპორტული ღონისძიებები | 24.0 |
| 05 01  02 | ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა | 110.0 |
| 05 01  03 | სპორტისა და დასვენების ობიექტების მოწყობა | 938.3 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 672.0 |
| 05 02 01 | კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა | 351.9 |
| 05 02  02 | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 288.5 |
| 05 02  03 | ტურიზმის განვითარების ხელსეწყობის პროგრამა | 17.6 |
| 05 02  04 | კულტურის ღონისძიებები | 12.0 |
| 05 02 05 | კულტურის ობიექტების მოწყობა | 2.0 |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეყწობა | - |

| | | |
|---|---|---|
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | - |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>05 01 01 01 | **ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ხელშეწყობა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>**442,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტული ცენტრი აერთიანებს 9 სპორტულ მიმართელებას, ესენია:კრივი (42 ბავშვი); ჭიდაობა სამბო (21 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო (48 ბავშვი); რაგბი ( 55 ბავშვი); კარატე (12 ბავშვი); კუნგ-ფუ (15 ბავშვი) ჭადრაკი (112 ბავშვი); კალათბურთი (98 ბავშვი) და ხელბურთი (44 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 447 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 113 ადმიანი, მათ შორის, 88 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 25 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები სისტემატიურად მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ადგილობრივ, საქართველოს და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.<br>ქვეპროგრამის მიზანია:<br>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;<br>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.<br><br>2. ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით.სუბსიდიის თანხები ხმარდება თანამშრომელთა ხელფასებს,მოსწავლეთა და მწვრნელთა სამივლინებო ხარჯებს,სპორტული ინვენტარის შეძენას,ბაზების მოვლა -შენახვის ხარჯებს სხვადასხვა შიგა სპორტული ღონისძიებების ჩატარების ხარჯებს და საერთოდ ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ხარჯებს | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>05 01 01 02 | **სპორტული ღონისძიებები** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში<br>**24,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტული ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:<br>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;<br>ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული ტყიბულელების დასაჩუქრება;<br>სხვადასხვა სპორტულ ღონისძებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირაბაში დახმარება;<br>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ტყიბულის მინიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.<br>პროგრამის მიზანია:<br>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით ჯილდოვდება ახალგაზრდა წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ბავშვთა ფეხბურთის განვითარება** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | **110,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნორჩი მეშახტის დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა შპს „საფეხბურთო კლუბ მეშახტეს“, საიდანაც ხორციელდება ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფებისათვის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯი. პროგრამის მიზანია შპს საფეხბურთო კლუბ,,მეშახტეს“ აღუზარდოს ადგილობრივი, ღირსეული კადრები. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ნორჩმა მეშახტემ მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ სხვადასხვა ტურნირებში და დაიკავოს საპრიზო ადგილები. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სპორტისა და დასვენების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 03 | | **938,3** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური; სივრცითი მოსყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდება ეკლესიის მიმდებარედ მდებარე ორი მინისტადიონის გაერთიანება და მოწყობა თავისი ინფრასტრუქტურით. მოეწყობა იქვე მდებარე სკვერი. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩაბმას სხვადასხვა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 01 | | **351,9** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 2 სასოფლო კულტურის სახლი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მხარ ეთმცოდნეობის მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, 10 სასოფლო კლუბი და სამხატვრო გალერეა. | | |
| | კულტურის სახლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 273 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე. | | |
| | მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა | | |
| | | | |
| | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა) |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სახელოვნებო სფეროს ხელსეწყობის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 02 | | **288,9** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 და დაწყებითი სამხატვრო განთლების 1 სკოლა.<br><br>მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 265 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგეგები) 28 თანამშრომელს. მათ შორის 22 პედაგოგია.<br><br>სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 93 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებული 11 თანამშრომელი, მათ შორის, 8 პედაგოგი.<br><br>მუნიციპალური თეატრის განვითარება ისტორიული შენობისა და დიდი ტრადიციების შენარჩუნებისათვის უმნიშვნელოვანესია. უმნიშვნელოვანესია აგრეთვე მოზარდ-მაყურებელთა დასის შექმნა და ახალგაზრდა არტისტების მოძიება, თეატრალური ფესტივალების მოწყობა და ორგანიზება, დასის განვითარება და პრემიერათა რაოდენობის ზრდა.<br><br>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება სახელოვნებო სფეროს მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი).<br><br>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.<br><br>ადგილობრივი თეატრის განვითარება გამოიწვევს თეატრით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, მაყურებლის ცნობიერების ამაღლებს, თეატრისათვის შემოსავლების ზრდას და ახალი პერსპექტივების გამოვლენას. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ტურიზმის განვითარების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
| | 05 02 01 03 | | 17,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | (ა)იპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის | კინოჩვენებების, წიგნების, ადგილობრივი ნაწარმის ფესტივალების, აკადემიური ფორუმები სფეროს განვითარებასა და გამოწვევებზე ცნობადობის გაზრდის ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლებსაც თან ერთვის ინტერნეტ და ტელე გაშუქება. | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა და დეტალური შესწავლა; პრიორიტეტების გაცნობა და ტურისტული წვევის ობიექტების საზოგადოებისათვის წარმოჩენა. |
| მოსალოდნელი შედეგი | გაიზრდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ცნობადობა და მის მიმართ მეგობრული განწყობები ტურისტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებში. ტურისტული წვევის ადგილის იდენტიფიცირება საშუალებას მოგვცემს შევადგინოთ მათზე მორგებული მარკეტინგული სტრატეგია და მოვახდინოთ მის პოპულარიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 04 | | 12,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;<br>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;<br>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;<br>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;<br>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;<br>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;<br>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 02 | | 2,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური; სივრცითი მოსყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | გასულ წლებში განხორციელებული პროექტების ვალდებულაბა 2,5% | | |
| მოსალოდნელი შედეგი | | | |

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 533,4 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| 06 00 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **533.4** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 80.7 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 80.7 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 452.7 |
| 06 02 01 | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა | 65.0 |
| 06 02 02 | კომუნალირი გადასახადები | 20.0 |
| 06 02 03 | ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა | 16.0 |
| 06 02 04 | ოჯახების და ბავშვების დახმარების პროგრამა | 58.0 |
| 06 02 05 | სოციალური სერვისი-უფასო სასადილო და სოციალური სამრეცხაო | 80.0 |
| 06 02 06 | შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა | 22.2 |
| 02 06 07 | ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი | 34.0 |
| 02 06 08 | სასკოლო-საკანცელარიო ნივთების შეძენა | 6.0 |
| 02 06 09 | 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა და შინმოვლის სერვისი | 34.5 |
| 02 06 10 | გარდაცვლილი დევნილის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურების პროგრამა | 3.0 |
| 02 06 11 | მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა | 60.0 |
| 02 06 12 | ონკო და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარების პროგრამა | 30.0 |
| 02 06 13 | ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა | 9.0 |
| 06 03 | ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი | 10.0 |
| 06 04 | გენდერული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 5.0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 | | **80,7** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.ა.ი.პ ტყიბულის საზოგადოებრივი ჯანმრელობის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდსიტუაციის კონტოლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადექვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა; პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:<br><br>1. ზოგადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას (სამედიცინო სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელებასა სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ შემთხვევათა კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით) და წარდგენა დკსჯე ცენტრში; სამოქმედო არეალში სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე ზედამხედველობა ; დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში შემთხვევათა რეგისტრაცია; სამოქმედო არეალში საბიუჯეტო წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისათვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.ტუბერკულოზზე საეჭვო შემთხვევების მონიტორინგი, ანტირაბიული | | |

| | |
|---|---|
| | ღონისძიებების ორგანიზება, საჭიროებისას მალარიის დიაგნოსტიკა მოიცავს - სისხლის სქელი წვეთის აღება და ლაბორატორიული კვლევა, 2-10 წლამდე ასაკის ბავშვთა კონტიგენტის გამოკვლევები ჰელმინთებზე. მალარიის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიების გატარება, კერძოდსაცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება .<br><br>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:<br>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)<br>2 იმუნიზაციია.<br>3 2-10 წლამდე ბავშვთა კონტიგენტის ჰელმინთებზე გამოკვლევა<br><br>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. |
| პროგრამის მიზანი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება |

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| პროგრამის დასახელება | კოდი | **სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 01 | | **65,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს:<br><br>1.ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებას:<br><br>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 100 001 ქულამდე - პაციენტის გადასახდელი თანხის -40%; ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 100 001 ქულაზე მეტი, ან შეწყვეტილი აქვს შეფასება-პაციენტის გადასახდელი თანხის -25%. თანადაფინანსება განისაზღვრება 100 ლარიდან არაუმეტეს 800 არამდე. ოჯახი, რომელიც არ მონაწილეობს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და გადასახდელი აქვს 1500 ლარზე მეტი- პაციენტის გადასახდელი თანხის 20% არაუმეტეს 500 ლარისა.<br><br>დახმარება გაეწევათ წელიწადში ერთხელ. ქვეპროგრამით არ ფინანსდება:<br><br>ა) საზღვარგარეთ გაწეული ქირურგიული ოპერაციის ხარჯები;<br><br>ბ) ესთეტიკური ქირურგია კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული;<br><br>გ) კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული მოქალაქეების ქირურგიული ოპერაცია;<br><br>დ) პაციენტის მიერ გადახდილი თანხა.<br><br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100; კალკულაცია; საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი (გეგმიური ქირურგიული ოპერაცია) ; დაბადების მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში) ; შესრულებული ქირურგიული ოპერაციისას ცნობა ან სხვა დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება) სამედიცინო დაწესებულებიდან გადასახდელი დავალიანების (გადავადების ) თაობაზე; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. | | |

| | |
|---|---|
| | 2.სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება 50%, არაუმეტეს 300 ლარისა.<br><br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; დაბადების მოწმობის ასლი (არასრულწლოვანის შემთხვევაში) ; კალკულაცია; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100.<br><br>3.0-5 წლამდე ბავშვების და ასაკის პენსიონერების სტაციონალური გადაუდებელი მომსახურების-პაციენტის გადასახდელი თანხის სრული გადახდა ადგილობრივ ჰოსპიტალში;<br><br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; დაბადების მოწმობის ასლი (არასრულწლოვანის შემთხვევაში) ; კალკულაცია; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის დგომარეობის შესახებ ფორმა №100.<br><br>4. ონკოლოგიურ პაციენტებზე კტ, მრტ და ბიოფსიის დაფინანსება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%, არაუმეტეს 400 ლარისა.<br><br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; კალკულაცია; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100.<br><br>5.სამკურნალო და საოპერაციო თანადაფინანსების დროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის<br><br>გაუმჯობესების ხელშეწყობა |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კომუნალური გადასახადები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 | | **20,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით ისარგებლებენ:<br><br>ა) 2006 წლიდან შპს „საქნახშირი“ შახტაში დაღუპულთა და დაშავებულთა (რომლებსაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით წელიწადში 6 თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი და დეკემბერი) ;<br><br>კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.<br><br>ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირები ყოველთვიურად 20 (ოცი) ლარის ოდენობით;<br><br>კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან. დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია აბონენტის ნომერი და ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ.<br><br>გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 001 ქულამდეა- ყოველთვიური 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით. | | |

| | |
|---|---|
| | კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან. დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და აბონენტის ნომერი. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების კომუნალური გადასახადების გადახდის<br><br>ხელმისაწვდომობა |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 03 | | 16,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს:<br><br>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე<br><br>ყოველთვიური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;<br><br>ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული<br><br>მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო<br><br>მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების<br><br>შედეგად გარდაცვლილ მეომართა და ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ,<br><br>სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას<br><br>აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 100 (ასი) ლარის ოდენობით;<br><br>გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ჩერნობილის ატომური<br><br>ელექტროსადგურის აფეთქების გამო ავარიული სიტუაციების შედეგების<br><br>ლიკვიდაციაში მონაწილეების დახმარებას ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით (26 აპრილი)<br><br>თოთოეულზე 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;<br><br>დ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის<br><br>მონაწილეები და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის ოჯახის წევრისდახმარებას 9 მაისის<br><br>დღესასწაულთან დაკავშირებით, თოთოეულზე 100 (ასი) ლარის ოდენობით;<br><br>ე) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 1992-1993 წლებში საქართველოს<br><br>ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის<br><br>საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული<br><br>ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარებას 26 მაისს (საქართველოს<br><br>დამოუკიდებლობის დღე) დღესასწაულთან დაკავშირებით თითოეულზე 500 (ხუთასი)<br><br>ლარის ოდენობით;<br><br>ვ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2008 წლის აგვისტოს ომში | | |

| | |
|---|---|
| | დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარებას- თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარი, აგვისტოს თვეში;<br><br>ზ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ ვეტერანების დახმარებს 17<br><br>ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, თოთოეულზე 150 (ასორმოცდაათი)<br><br>ლარის ოდენობით.<br><br>ფულადი დახმარება განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზიდან. |
| მოსალოდნელი შედეგი | ვეტერანის სტატუსის დაფასება |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ოჯახებისა და ბავშვების დახმარების ქვეპროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 04 | | **58,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით მოსარგებლენი არიან :<br><br>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) , რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 70 001 ქულამდეა- მიიღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას თითოეულ ბავშზე 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით. ხოლო მრავალშვილიანი ოჯახი, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 001 ქულაზე მეტია ან ოჯახი არ მონაწილეობს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ან იმ დროისთვის შეწყვეტილი აქვს შეფასება-მიიღებს ყოველთვიურ ფულად დახმარებას თითოეულ ბავშზე 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული და მცხოვრები იყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.<br><br>დახმარების მიმღებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: მშობლების პირადობის მოწმობის ასლები; ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები და რეგისტრაციის ბარათები; განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.<br><br>ბ) მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.<br><br>დახმარების მიმღებმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; ბავშვის ან ბავშვების დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლები; მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი ცნობა სამოქალაქო რეესტრიდან, ბავშვის რეგისტრაციის ბარათი და განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.<br><br>გ) შვილის შეძენის შემთხვევაში ოჯახების ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარი. დახმარების მიმღებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: მშობლების პირადობის მოწმობის ასლები; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი; ქალაქის და შესაბამისი სოფლის ამბულატორიის ოჯახის ექიმის ცნობა ბავშვის დაბადებიდან სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანის და ვაქცინაციის პირველი კურსის დასრულების შესახებ (სამედიცინო უკუჩვენების გათვალისწინებით) და განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და სავალდებულო<br><br>ვაქცინაციის ჩატარების ხელშეწყობა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალური სერვისები- უფასო სასადილო, სოციალური სამრეცხაო | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 05 | | **80,0** |
| პროგრამის | | | |

| | |
|---|---|
| განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები<br><br>ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების,<br><br>შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით<br><br>უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის.<br><br>მათთვის აგრეთვე ფუნქციონირებს სოციალური სამრეცხაო.<br><br>ქვეპროგრამით ისარგებლებენ:<br><br>ა) ბენეფიციარი, რომელიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა<br><br>ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა 0-დან 65 001-მდეა.<br><br>ბ) მერი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის<br><br>შესახებ, თუ მისი სარეიტინგო ქულა 65 001-ზე მეტია და მისი შემოსავალი ნაკლებია<br><br>საარსებო მინიმუმზე და მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს<br><br>მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.<br><br>გადაწყვეტილების მიღებამდე საკითხს განიხილავს და შესაბამის დასკვნას გასცემს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალურ საკითხთა განყოფილება.<br><br>უფასო კვება განხორციელდება არსებული სიის მიხედვით.<br><br>ბენეფიციარად რეგისტრაციისთვის განცხადებასთან ერთად წარმოსადგენი<br><br>დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი<br><br>ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.<br><br>ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის რეგიტრაციიდან მოხსნის თაობაზე, თუ:<br><br>ა) ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მომართა არნიშნულის შესახებ;<br><br>ბ) ბენეფიციარი თვის განმავლობაში ათი დღე არ სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით და აღნიშნული არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;<br><br>გ) ბენეფიციარი გარდაიცვალა. |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების საკვების ხელმისაწვდომობის და<br><br>ჰიგიენური პირობების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამით<br><br>შესაძლებელი იქნება 110 ბენეფიციარის მომსახურება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი<br><br>დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის<br><br>დაფინანსების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 06 | | 22.2 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით ისარგებლებენ:<br>ა) შშმ პირები (0-და 18 წლამდე) ერთჯერადი ფულადი დახმარება -თითოეულზე 200 (ორასი)<br>ლარის ოდენობით;<br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის<br>მოწმობის ასლი; ბავშვის დაბადების ან პირადობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან<br>გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა №100; შესაბამისი სტატუსის<br>დოკუმენტის ასლი; განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.<br>ბ) ცერებრალური დამბლით დაავადებული (18 წლის ზევით) ერთჯერადი ფულადი<br>დახმარება -თითოეულზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით.<br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის<br>მოწმობის ასლი; ბენეფიციარის პირადობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული<br>ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა №100; შესაბამისი სტატუსის<br>დოკუმენტის ასლი; განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.<br>ბ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება<br>არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.<br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის<br>მოწმობის ასლი; ბავშვის დაბადების ან პირადობის ასლი; ბენეფიციარის პირადობის<br>მოწმობის ასლი;სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის<br>მდგომარეობის შესახებ-ფორმა №100; შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი; კალკულაცია.<br>სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების შემთხვევაში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. |
| მოსალოდნელი შედეგი | შშმ პირთა ოჯახების ფინანსური თანადგომის და სარეაბილიტაციო კურსის<br>ჩატარების ხელშეწყობა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 07** | | **34,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის<br>უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული<br>დიალიზის ჩასატარებლად ყოველთვიური დახმარება 120 (ასოცი) ლარის<br>ოდენობით დახმარების მისაღებად მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:<br>პირადობის მოწმობის ასლი; სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა | | |

| | |
|---|---|
| | ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა №100; საბანკო ანგარიშის ნომერი. |
| მოსალოდნელი შედეგი | დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | **სასკოლო - საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 08** | | **6,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით ისარგებლებენ იძულებით გადაადგილებული პირების (რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) , შახტში დაღუპული და დაშავებულთა (ვისაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების პირველი-მეექვსე კლასის მოსწავლეები.<br>ქვეპროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა დასაზუსტებელია და დაზუსტდება პროგრამის მიმდინარეობისას | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სასკოლო-საკანცელარიო ნივთებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა | | |
| პროგრამის დასახელება | კოდი | **100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარებისა და შინმოვლის ქვეპროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | **02 06 09** | | **34.5** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამით ისარგებლებენ:<br>ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;<br>დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:პირადობის მოწმობის ასლი:საბანკო ანგარიშის ნომერი.<br>ბ) შინ მოვლის პროგრამაში ჩართული ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა, მათთვის შინ მოვლის სერვისის მიწოდებით. ბენეფიციარების საყოფაცხოვრებო პირობების და ჰიგიენის გაუმჯობესება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კომპლექსი. შინ მოვლის პროგრამის ბენეფიციარები (უფასო სასადილოს ბენეფიციარების გარდა) უზრუნველყოფილი იქნებიან | | |

| | |
|---|---|
| | ყოველთვიურად საკვები პროდუქტებით: 1ლ ზეთი, 1კგ შაქარი, 1კგ ბრინჯი, 1კგ<br><br>მაკარონი, 1კგ ლობიო, 10 ცალი კვერცხი, 5 კგ კარტოფილი და ქათამი არანაკლებ 1კგ. |
| მოსალოდნელი შედეგი | ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო<br><br>მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნის<br><br>ხელშეწყობა |

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი<br>06 02 10 | გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურების  ქვეპროგრამა |
| | | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | | 3,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირის<br><br>და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -250 ლარის ოდენობით.<br><br>დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი;გარდაცვლილი ვეტერანის (დევნილის) სტატუსისა და გარდაცვალების მოწმობის ასლები; განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი | |
| მოსალოდნელი შედეგი | გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი<br>06 02 11 | მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>60,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| | ქვეპროგრამა ითვალისწინებს:<br><br>1) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პრევენციის მიზნით საცხოვრისით უზრუნველყოფას იმ პირების ოჯახების მიმართ,რომლებიც არიან სიღატაკის რისკის ქვეშ (არ აქვთ<br><br>თავშესაფარი) . საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნება ოჯახი, რომელიც დააკმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს. თითოეული კრიტერიუმი ფასდება შესაბამისი ქულით.<br><br>ბენეფიციარის მოთხოვნა საცხოვრისით დაკმაყოფილდება, თუ მას კომისიის მიერ, შეკრებითობის პრინციპით, მიენიჭება 9 (ცხრა) ქულა.<br><br>ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:<br><br>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ ოჯახის ქულა 65 001 ქულამდეა-კომისიის მიერ ფასდება 5 (ხუთი) ქულით; | | |

| | |
|---|---|
